

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისამართი: 6010. ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ №34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ეკოლოგიის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	120 ECTS კრედიტი: ზოგადი კურსები 30 ECTS, სპეციალიზაციის სავალდებულო კურსები 50 ECTS, სამაგისტრო ნაშრომი 30 ECTS, თავისუფალი არჩევითი კურსები 10 ECTS
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;</li> <li>➤ საერთო სამაგისტრო გამოცდა;</li> <li>➤ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) - B2 დონე და სპეციალობა;</li> <li>➤ მობილობის წესით (შიდა/გარე) ჩარიცხვა;</li> <li>➤ უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.</li> </ul>
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>✚ თანამედროვე ეკოლოგიური განათლების მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და საფუძვლიანი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარ- ჩვევების მქონე კადრების მომზადება, რომელიც შეძლებს, მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.</p> <p>✚ მაღალი ეთიკური ღირებულებების მქონე სპეციალისტის აღზრდა, რომელიც შეძლებს კოლეგებთან ეფექტურ თანამშრომლობას, ურბანულ, სოციალურ, თანასაზოგადოებებისა და პოპულაციების ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში საკუთარი წვლილის შეტანას;</p> <p>✚ თანამედროვე სრულფასოვანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს საკვლევო სინჯების აღებას, საანალიზოდ მომზადებას, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ანალიზების ჩატარებას და მიღებული შედეგების განზოგადებას.</p>

სწავლის  
შედეგები

ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა ეკოსისტემების ტიპების, სტრუქტურულ-ფუნქციური თავისებურებების, ბიომების გავრცელების კანონზომიერებების და დაცვის სტრატეგიების, ბუნებათსარგებლობის, რადიაციული, ეკოტოქსიკოლოგიური და ბიოუსაფრთხოების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ეცოდინება ცოცხალი და არაცოცხალი გარემოს ორგანული და არაორგანული, ბიოლოგიური ტოქსიკანტების ტოქსიკურობის დოზა და ეფექტი; ცოცხალ ორგანიზმებში, პოპულაციებსა და თანასაზოგადოებებში ქიმიური ტოქსიკანტების შეღწევადობისა და უჯრედულ, ორგანიზმულ, პოპულაციურ, ბიოსფერულ დონეზე ტოქსიკური მოქმედების გზები; გარემოს დაცვის, სოციალური და ურბანული ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემების კვლევის, ანალიზის, შეფასების და გადაჭრის მეთოდები. ეცოდინება ეკოლოგიური კონტროლის და გარემოს დაცვის სამართლებრივი საფუძვლები და კანონმდებლობის გამოყენება. შეეძლება გარემოზე ბუნებრივი კატასტროფების, სოციალური და ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების უარყოფითი შედეგების შეფასება/პროგნოზირება; ექსპერიმენტის დაგეგმვა, ლაბორატორიული ანალიზების ჩატარება და სათანადო დასკვნების გაკეთება; გარემოს მდგომარეობის კონტროლი, ექსპერტიზა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება. შეძლებს ბიოლოგიურ მონაცემთა ბაზებისა და კომპიუტერულ-სტატისტიკური პროგრამების, გარემოს დაცვის თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებას; კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებას სამეცნიერო ეთიკის ძირითადი პრინციპებისა და ციტირების კულტურის დაცვით.

კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია: კვლევითი და სასერტიფიკაციო ლაბორატორიები, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ადგილობრივი (მუნიციპალური) და რეგიონული სამმართველოები, გარემოსდაცვითი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ბოტანიკურ ბაღები, დაცული ტერიტორიები, სანიტარული და ბიოუსაფრთხოების სამსახურები, სამეცნიერო-კვლევითი

	<p>ინსტიტუტები და უნივერსიტეტები, გარემოსდაცვითი ინსპექციები, აგრარული სექტორი, სხვადასხვა ტიპის მონიტორინგის სამსახურები, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურები. შეუძლია სწავლის გაგრძელება შემდეგ საფეხურზე - დოქტორანტურაში.</p>
შეფასების წესი	<p>სტუდენტის მიერ სასწავლო კურსში მიღწეული სწავლის შედეგები ფასდება მისი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების შეჯამების საფუძველზე. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. 100 ქულიანი სისტემით ხდება აგრეთვე საწარმოო და სასწავლო-სავლე პრაქტიკის შეფასებაც. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 21 ქულა, დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 20 ქულა;</p> <p>საბოლოო შეფასება - 100 ქულა განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით A B C D E FX F</p> <p>ECTS - შეფასება: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61- 70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა; ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები.</p> <p>ბსუ-ში გამოიყენება აგრეთვე სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA).</p>
საკონტაქტო პირი	<p>საკონტაქტო პირი          პროგრამის ხელმძღვანელი:          ნანი გვარიშვილი, ასოცირებული პროფესორი ტელ. (+995) 577 14 10 64          ელ-ფოსტა. gvarishvili.nana@bsu.edu.ge</p>